№ 19 (45) 1930 წ. 15 ოქტომბერი წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ

# დროშა

F 221/1930



აჭარელი ქალები სამკერვალო სახელოსნოში (ბათომი)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან
მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.

Г.П.Б-ка обяз. экз.
Лнгр. 1930 г.
Инв № М-576

## სოციალისტური აღმშენებლობის წარმატება



რიონჰესის საგენერატორო სადგურის ნაგებობა

# ივანე წიქლაური

სოფლის ბოლოში სახლია მდგარი,—
სახლი ეკუთვნის ქოხსამკითხველოს
გაიღო კარი—
და ქართან ენახე კაცი, მკითხველო!—
ივანე წიქლაური, ხევსური, რომელიც გადუდგა
მახინჯ ზნეს და „სჯულს“.
სად არის სიყვარული
ფარის და ხმალისა?
არ იხდის სხეული დახარჯულ სისხლს.
„ივანე ძველად კარგი ვაჟკაცი,
ვისთვისაც მუდამ სჭროდა ფრანგული.
ნუ თუ ძარღვებში სისხლი გაშრალა
და სამუდამოდ გაქვავდა გული?!“,—
ასე მსჯელობდა ლოეობა მაშინ,
როცა ივანემ თავი ირიდა.
„მხდალო, გაგვშორდი, რა გინდა მთაში!..“—
ერთხმად გასძახა კრებამ ბანიდან.
ის-კი სხვას ფიქრობს:.
„ნამდვილი ბრძოლა,
ჯერ სად არისო, შემდეგში ნახეთ.
ჩვენი ცხოვრება გამხდარი მძორად
შეადგენს გამშრალ გრძნობებისნახევს.
მას შველა უნდა, ხსნა სწავლაშია,—
სწავლა ფარყოფს დროის ნაგავებს.—
ნაგავიც გებრძვის, გებრძვის საშინლად,
ვით მომაკვდავი სიკვდილის რკალებს!..
მტერი ცდილობს, რომ მოგთელოს ბარემ,
მაგრამ არც შენ ხარ ძილის გუნებას;
მათგან გათხრილი შენთვის სამარე
თავად უქადის განადგურებას!..
— მე-კი: ხევსურნო!—დე ვაყოშხდალი,
თუ ეს სიმხდალედ ჩამეთვლებოდეს.
თქვენთვის დაჭრილი ვარ ლაბა არი,
მაგრამ თქვენ მაინც სიბრმით თვრებოდეთ!..“
შევდივარ სახლში—კაერას უხა-რის.
— შენ: მასპინძელი.
— მე-კი: სტუმარი.
გვაქვს საუბარი. ელავს ბუხარი—
და სიხარული გულში თუ არი.
ივანე წიქლაური!—
ხევსური, რომელიც გაუდგა მახინჯ ზნეს და „სჯულს“.
სად არის სიყვარული
ფარის და ხმალისა
არ იხდის სხეული დახარჯულ სისხლს!..

ალ. გომიაშვილი.



სტალინის სახ. ორთქლმავალ ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სააგიტაციო პლაკატი

## პროდუქციის ღირსება

### სატირა 1 მოქმედებად

(აზრი რუსულიდან)

**მოქმედნი პირნი:**

1. მაღაზიის გამგე.
2. ვანო—მუშა.
3. გიგო—მუშა.

**ვანო** — ამხანაგო, ეს მაღაზიის გამგის ოთახია, არა?

**გიგო** — ჰო.

**ვანო.** — თითონ გამგე სად არის?

**გიგო.** — მეც იმას ვუცდი. თითხროეს ცხლავე მოვაო. საწყობში საქონელს იბარებსო.

**ვანო.**—ქუდი აქ კიდია, ალბად მოვა... ეხ...

**გიგო.** — რა იყო, ამხანაგო, რამ დაგაღონა?

**ვანო.** — რაღა რამ დამაღონა, ძმაო... საშველი აღარ არის...

**გიგო.** — მაინც რა მოხდა?

**ვანო.** — წელებზე ფეხს ვიდგამ, რათა რაც შეიძლება მეტი დოვლათი შევმატო ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას, შეჯიბრება მე მოვაწყე, დამკვრელი მე ვარ და რა ვიცი კიდევ რა..,

**გიგო.** — მერე რა, ვერ მიაღწიე კარგ შედეგებს?

**ვანო.** — მიღწევით-კი მივაღწიე, მაგრამ სამაგიეროდ რა მივიღე?

**გიგო.** — არ დააფასეს შენი შრომა?

**ვანო.** — დააფასეს, როგორ არა... აი, ნახე **(გახსნის ქაღალდს)** ასეთ საქონელს აწვდიან მუშა კაცს.

**გიგო.** —ფეხსაცმელები...

**ვანო.** — ჰო, ფეხსაცმელები... კო-



თელავი. რადიო-კურსების მსმენელბი პრაქტიკ. მეცადინეობის დროს

ოპერაცია მგონი მოვალეა იზრუნოს, რომ მუშას კარგი ღირსების საქონელი მიაწოდოს... ეს ფეხსაცმელი ვიყიდე ერთი კვირის წინად, სამჯერ ჩავიცვი და აი...

**გიგო.**—რა დაემართა?

**ვანო.**—რა დაემართა და დაიშალა.

**გიგო.**—დაიშალა?

**ვანო.**—ერთხელ წვიმაში მოვხვდი და ამ ერთმა დასველებამ იმოქმედა. მასალა მშვენიერია, მაგრამ ნამუშევარი-კი არაფრად არ ვარგებულა. ძირი ცალკე წავიდა და პირი ცალკე.

**გიგო.**—მერე ეხლა რა გინდა?

**ვანო.**—როგორ თუ რა მინდა? კოოპერატივმა უნდა გამომიცვალოს თუ არა... **(შემოდის მაღაზიის გამგე).**

**გამგე.**—ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მგონი გაცდევინეთ... რა გნებავთ?

**გიგო.**—რა მნებავს... მე მნებავს გავიგო როდის მოეღება ბოლო ასეთ დაცინვას?

**გამგე.**—დამშვიდდით... რაშია საქმე, მითხარით...

**გიგო.**—დამშვიდდი!... კაცო, რა დამამშვიდებს, როდესაც ასეთი აღმაშფოთებელი ამბავი ხდება? წარმოებაში წელებზე ფეხს ვიდგამ, რათა რაც შეიძლება მეტი დოვლათი შევმატო ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, სოცშეჯიბრება მე გამოვაცხადე, დამკვრელი მე ვარ და სამაგიეროდ ასეთნაირად მეპყრობით? ასეთნაირ მზრუნველობას უწევთ მუშებს?

**გამგე.**—დამშვიდდით... რაშია საქმე?

**გიგო.**—აი, ნახეთ... **(გახსნის და ამოიღებს პიდჟაკს)** რას გავს ეს?

**გამგე.**—რას გავს? პიდჟაკს და შარვალს...

---

**გიგო.**—გამოცანა გერგებათ!... დიახ, პიდჟაკია და შარვალი, თქვენთან ნაყიდი.

**გამგე.**—მაჩვენეთ... ჰო, ჩვენთან არის ნაყიდი.

**გიგო.**—მერე განა დასაშვებია ასეთი უვარგისი საქონლის გაყიდვა?

**ვანო.**—ეჰე, შენ მაგას სტირი?

**გიგო.**—მაშა... აი, ნახე... ვიყიდე თუ არა, იმ საღამოსვე ჩაცმის დროს სახელო ცალკე წავიდა და შარვლის ტოტი ცალკე. მერე კიდევ შარვლის ერთი ტოტი მეორეზე მოკლე გამოვიდა... განა შეიძლება ტანისამოსის ასეთნაირად შეკერვა?

**გამგე.**—ამხანაგო, როდესაც ყიდულობდით რატომ მაშინ არ გასინჯეთ რიგიანად?

**ვანო**—დაირღვა. ძირი ცალკე წავიდა და პირი ცალკე... აღარ შეისვლება ამ კოოპერატივებში. მოგაჩეჩებენ დამპალს, გაფუჭებულ საქონელს. ჩვენ-კი წელებზე ფეხს ვიდგამთ, რათა, რაც შეიძლება მეტი დოვლათი შევმატოთ სოციალისტურ მშენებლობას.

**გიგო**—ეჰ, ძმაო, ასეა...

**გამგე**—ამხანაგებო, საქმე იმაშია, რომ ამ საქონელს ჩვენ დამზადებულს ვიღებთ ფაბრიკებიდან. საქონლის უვარგისობაში ფაბრიკაა დამნაშავე და არა ჩვენ.

**ვანო**—მერე რად იღებთ ფაბრიკიდან უვარგის საქონელს? რატომ უკან არ უბრუნებთ, თუ უვარგისი გამოდგება?

**გამგე**—თუ შევამჩნევთ, რომ უვარგისია, ცხადია, უბრუნებთ, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვამჩნევთ და ასეთ არასასიამოვნო ამბავის მოწმენი ვართ.

**ვანო**—ერთი ეს მითხარით, ბევრს უბრუნებთ ფაბრიკებს უვარგის საქონელს?

**გამგე**—საუბედუროდ უვარგისი საგრძნობი პროცენტია ხოლმე და უბრუნებთ. ზოგჯერ პირდაპირ გასაკვირი ვარ, ნუ თუ ასე უყურადღებოდ მუშაობენ ჩვენი მუშები, რომ ასეთი უვარგისი პროდუქცია გამოდის?

**გიგო**—ცბილით უნდა დავგლიჯო ის მუშა, რომელიც ასე უყურადღებოდ ეპყრობა მუშაობას და უვარგის პროდუქციას გვაძლევს.

**ვანო**—ასეთი მუშები გვარცხვენენ ყველას. ჩვენ წელებზე ფეხს ვიდგამთ, რათა რაც შეიძლება მეტი დოვლათი შევმატოთ სოციალისტურ მშენებლობას და ისინი-კი პირდაპირ მავნებლობის გზაზე დგანან.

**გამგე**—ამხანაგებო, მე გამოგიცვლით ამ უვარგის საქონელს.

**გიგო**—ცხადია, უნდა გამოცვალოთ...

**გამგე**—...მაგრამ არა დღეს, რადგან გამგეობას უნდა შევეკითხო. გამგეობა ფაბრიკას მოსთხოვს ამ უვარგის საქონლის ღირებულების ანაზღაურებას და მიიღებთ უკვე კარგი ღირსების ტანსაცმელს და ფეხსაცმელს.

**გიგო**—ფაბრიკა რომ უარზე დადგეს?

**გამგე**—არ დადგება უარზე, რადგან ნათლად არის გამორკვეული პროდუქციის უვარგისობა.

**ვანო**—რამდენ ხანს მოუნდებით ამ საკითხის გამორკვევას?

**გამგე**—დანამდვილებით ვერ გეტყვით.., ასე, სამ-ოთხ დღეში... შეიძლება მეტიც.

**გიგო**—კაცო, არ შეიძლება მალე მოგვარდეს საკითხი, ფული დამიხარჯავს და მინდა ტანისამოსი მეცვას.

**ვანო**—მეც მეჩქარება, ამხანაგო, ძველი ფეხსაცმელები სრულებით აღარ მივარგა.

**გამგე**—ამაზე აღარ ვერ დაგპირდებით.

**გიგო**—ფუი...

**გამგე**—ეს ფეხსაცმელი, მაშასადამე, თქვენ იყიდეთ ერთი კვირის წინეთ სამჯერ მეტი არა გცმიათ, არა?

**ვანო**—ჰო...

**გამგე**—თქვენი გვარი, სახელი, სად მუშაობთ?

**ვანო**—ვანო კურდღელაშვილი, მუშა, საზოგადოება „მკერავის" პირველი ფაბრიკა.

**გამგე**—თქვენი?

**გიგო**—გიგო ბოქორიძე, მუშა, ტყავტრესტის ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკა.

**გამგე**—მოიცათ, მოიცათ... ეს ფეხსაცმელები ვისი დამზადებულია?.. ტყავტრესტის ფაბრიკა ნომერი მეორე... ეს ტანსაცმელი?... საზოგადოება „მკერავი"-ს ფაბრიკა ნომერი პირველი... ჰმ...

**ვანო**—ბიჭოს... **(გიგოს)** მაშ ეს ფეხსაცმელი თქვენი ფაბრიკის დამზადებულია?

**გიგო**—ფუი!.. ეგრეა მგონი... ეს პიდჟაკი და შარვალი კი თქვენი ფაბრიკის?

**ვანო**—ეგრე გამოდის... ფუი!..

**გამგე**—ხე, ხე, ხე!.. ასეთ დოვლათს მატებთ სოციალისტურ მშენებლობას?.. **(გიგო და ვანო წაავლებენ ხელს ტანსაცმელს და ფეხსაცმელს და დარცხვენილი მიდიან).**

ფარდა.

გ. ბუხნიკაშვილი.



სოცია-

ლისტური

მშენებლობის











# ენთუზიასტები



















# მოწინავე დამკვრელები













მეთაურის საუბარი ახალწვეულებთან

# როგორ იარაღდებოდა ხალხი 1905 წელში

შეიარაღებულ აჯანყების საქმე ცხრაას ხუთ წელს ბოლშევიკურმა ფრაქციამ აქტუალ საკითხათ დასვა და მესამე პარტიულ ყრილობაზე საკმარისად გამოშუქა და შესაფერი რეზოლუციაც გამოიტანა. მენშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას უარყოფდენ, ამას ისინი ანარქიზმს უწოდებდენ. მათი აზრით რევოლუცია სტიქიური მოვლენაა, რომ მას თავისი გზა აქვს და რადგან შეიარაღებული აჯანყების ერთდროულად მოწყობა შეუძლებელია, ამიტომ მისთვის მზადებას, პროპაგანდა-აგიტაციის გაწევას, სავსებით გაურბოდენ. მენშევიკები უარჰყოფდენ არა მარტო შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობას, არამედ გაფიცვის შეგნებულად დანიშვნას და მის ხელმძღვანელობასაც. ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის მსვლელობამ შემდეგში სასტიკათ დაამარცხა მათი ტაქტიკა.

ბოლშევიკები მუშათა კლასს საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებულ აჯანყებისკენ მოუწოდებდენ. „საყოველთაო გაფიცვა გახდება ერთი იარაღთაგანი შეიარაღებულ აჯანყებისა და ეს იქნება პოლიტიკური ბრძოლის საუკეთესო იარაღი!! ასე ამბობდენ ბოლშევიკები.

ბოლშევიკების რწმენით შეიარაღებული აჯანყება მუშებთან ერთად ბრძოლის ველზე გამოიყვანდა გლეხობას და ხელოსნებს. პროლეტარიატის მოკავშირე ამ ბრძოლაში გლეხობა უსათუოდ გახდებოდა, ამიტომ შეიარაღებული აჯანყება უნდა შეთანხმებული ყოფილიყო აგრარულ მოძრაობის მწვავე მომენტთან.

მესამე ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ასეა ნათქვამი: ...„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე ყრილობა, აღიარებს რომ პროლეტარიატის ორგანიზაციულად მოწყობის ამოცანა თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს — არის შეიარაღებული აჯანყება და ერთად ერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანა პარტიის თანამედროვე რევოლუციონურ მომენტში"...

ბოლშევიკები მუშაობდენ მიღებულ რეზოლუციის თანახმად და ცხოვრებაშიც ატარებდენ მას, ხოლო მენშევიკები გაურბოდენ ამას, მაგრამ რევოლუციის მსვლელობის პირობები მათაც აიძულებდა შეიარაღებისთვის ხელი მოეკიდათ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში პროლეტარიატის ბრძოლას მხარში ამოუდგა სოფლის მუშა-გლეხკაცობა, რომელმაც თავისი აგრარული მოძრაობა ცხრაას ხუთ წელს, იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხშირად მათი გამოსვლა შეიარაღებულ აჯანყებით თავდებოდა. მაშინ საქართველოს ყოველ კუთხეში დაარსებული იყო წითელი რაზმი. ჩვენ გვინდა მოკლე წერილში მოვიყვანოთ ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ იარაღდებოდა ხალხი 1905 წელს. გლეხების მოძრაობამ ცხრაასხუთ წელს გურიაში მწყობრი ორგანიზაციული ფორმა მიიღო და მალე გააუქმა მთავრობის დაწესებულებანი,ისე რომ ისინი აღარ მოქმედებდენ. ხალხმა თვით შექმნა საკუთარი ორგანოები. თითქმის განხორციელებული იყო ხალხის საყოველთაო შეიარაღება. პირველად გურიაში იყო, რომ სოც. დემოკრ. კომიტეტის გავლენის ქვეშ ხალხმა დაარსა „წითელი რაზმი".

გატაცებით და ენერგიულად შეუდგა გლეხობა პოლიციის იარაღის აყრას და თვითშეიარაღებას. გურიაში იარაღის საკეთებელი ქარხანაც კი იყო მოწყობილი, დიდი იყო გატაცება შეიარაღების მიზნით. საკმარისი იყო ხუთი -ექვსი ბერდანიანი რაზმელი, რომ თავს დაესხმოდენ ჩაფრების საგუშაგოს და განეიარაღებიათ ისინი. ასეთი განიარაღება ჩვეულებრივი იყო პრაქტიკაში საქართველოს ყოველ კუთხეში. ყოველი ახალგაზრდა გლეხი ცდილობდა თოფი ეშოვა და რაზმში ჩაწერილიყო.

დ. ჩოხატაურში 16 სექტემბერს თავდასხმა მოახდინეს მოჭადილის სამმართველოზე. წაიღეს ცხრა ვინტოვკა, ორი რევოლვერი და მოჰკლეს ერთი დარაჯი. თვით მოჭადილე და ორი დარაჯი ტყვეთ წაიყვანეს. ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო 120 კაზაკით, ჩოხატაურისაკენ გაემართა. როცა ხალხმა კაზაკების გალაშქრება გაიგო, მთელი გურია შეიძრა. შეიქნა ზარების რეკა და ხალხმა თავმოყრა იწყო. მოითხოვდენ კაზაკებზე თავდასხმას და მათ განიარაღებას. როცა ლაზარენკო კაზაკებით უკან ბრუნდებოდა, ნასაკირალთან ჩაუსაფრდენ და სროლა აუტეხეს. ხალხი უამრავი იყო, მაგრამ მათში შეიარაღებული მხოლოდ 60-მდე თუ იქნებოდა. დანარჩენები შეიარაღებული იყო ცულით, წალდით, ხანჯლებით, თოხებით და სხ.

კაზაკების მხრიდან ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა ათი პლასტუნი. დაჭრილთა რიცხვი კი 14-მდე აღიოდა. დანარჩენები გაიქცენ და თავს უშველეს, ხოლო შურისძიების მიზნით მათ ასამდე სახლი გადაწვეს მახლობლად მდებარე სოფლებში.

ბათომის მუშების რევოლუციონური სულისკვეთება ცხრაას ხუთ წელს უმაღლეს წერტილამდე ავიდა და შეიარაღებულ აჯანყებაში გადავიდა. სამხედრო გუბერნატორის პატაკი, მიწერილი მეფის მოადგილისადმი კავკასიაში,ასეთ სურათს გადმოგვცემს ბათომის მუშების შეიარაღების შესახებ. *)

*) იხ. ცენტრარქივის მასალები.

„თქვენს ბრწყინვალებას ვაცნობებ— ასე იწყება პატაკი და პატარა შესავალის შემდეგ ჩამოთვლილია— 1) ღამის პირველ საათზე სამოცამა შეიარაღებულმა „ტუზემცებმა" გაჭურდეს პოლიციის სამმართველოს ცეიხჰაუზი, საიდანაც წაიღეს ათი თოფი, რამდენიმე რევოლვერი და ვაზნები, 2) ღამით ათხუთმეტი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი შეცვივდებოდა მოქალაქეთა ბინებში და ართმევდა მათ იარაღს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლით ემუქრებოდა. 3) რკინის გზის სადგური გარშემორტყმული იყო შეიარაღებულ აჯანყებულებით. ქანქარების უნტერ-ოფიცრებმა წინააღმდეგობის გაუწევლად ჩააბარეს 19 სახაზინო რევოლვერი სხვადასხვა სისტემისა, 3 ხანჯალი, 13 გადაჭრილი ბერდანა და 113 ხმალი, 4) ერთი ასეთი აჯანყებულ ჯგუფთაგანი ვაგზლის სარკმელზე მიმავალ ლაბინის პოლკის კაზაკს ყაზარმების ახლოს და დაუწყო მას სროლა. სროლა გაგრძელდა და მის დასახმარებლად გამოცვივდნენ მისი ამხანაგი კაზაკები, 5) მეორე ასეთივე ჯგუფმა სროლა დაუწყო ხერსონის პოლკის ჯარისკაცებს, რომლებიც ყაზარმის ახლოს იდგნენ, 6) ერთი სახლიდან ისროლეს ბომბა, რომლის აფეთქების დროს დაიჭრა ხერსონის პოლკის პრაპორშჩიკი დუნდუკი და ამავე პოლკის სამი ჯარისკაცი, 7) მარინეს პროსპექტზე, ნურიის ბაზარში, სვიატოპოლკ-მირსკის, მიხაილოვის და სხვა ქუჩებზე, ერთდროულად, თითქოს ნიშნის მიცემით აღმართულ იქნა ბარიკადები, რომლის ერთი ნაწილი მაშინვე დაკავებულ იქნა შეიარაღებული ხალხით, რომელნიც ესროდნენ მათ საწინააღმდეგოთ გამოწვეულ ჯარს"...

შემდეგ გუბერნატორი ჩამოთვლის ხალხის რევოლიუციონურ გამოსვლებს და მოითხოვს საველე წესების შემოღებას.

გადავიდეთ სხვა მაზრებზე. თუ რამდენათ ძლიერი, ხშირი და ენერგიული იყო საპოლიციო დარაჯთა და პოლიციის მოხელეთა განიარაღების ამბავი, მოვიყვანოთ მაგალითი ზუგ. მაზრის რევოლიუციონურ ცხოვრებიდან. ეს ცნობები თავმოყრილია ზუგდიდის საქმის საბრალმდებლო ოქმში, რომლის დედანი იმყოფება ცენტრ-არქივის საბუთებში —საისტორიო—სარევოლიუციო არქივი — საქმე თბილისის სასამართლოს პალატისა, ზუგდიდის საბრალმდებლო ოქმი— „2 დეკემბერს, 1905 წელს, ორ საათზე, ხოფის ახლო ატყდა ხშირი სროლა და ამავე დროს პოლიციის შენობაში შევიდა სამი ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაც განუცხადეს ბოქაულს რომ ისინი მოსული არიან სოც.-დემ. ორგ. მებრძოლი რაზმის სახელით, რათა მან გადასცეს მათ სამმართველოში მყოფი იარაღი. ბოქაულმა უპასუხა, რომ ამის შესახებ უნდა შეეკითხოს მაზრის უფროსს, რისთვისაც საჭიროა სამი საათი დრო. მაგრამ ბრბომ ამას არ დაუცადა და ძალით განაიარაღა პოლიციელები.

5 დეკემბერს, 1905 წელს, პირველ საათზე ქ. ოზურგეთში შეიარაღებულმა ბრბომ ალყა შემოარტყა ამიერ-კავკასიის პოლიციის ჩაფრებს და აჰყარა რა იარაღი გარეთ მდგომ ყარაულს, შეცვივდა შენობაში, ერთმა მოთავეთაგანმა, რომელსაც ხელში ბომბა ეჭირა,—წინადადება მისცა ჩაფრებს წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაებარებინათ მათ განკარგულებაში მყოფი სახაზინო იარაღი. რადგანაც ბომბით ემუქრებოდენ, ჩაფრებს არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა და რაზმელებმა წაიღეს მთელი იარაღი—44 ვინტოვკა და 3850 ვაზნა.

6 დეკემბერს,— 1905 წელს განიარაღებულ იქნენ თავის ბინებზე უბნის ბოქაულები: ეფთმი კვარაცხელია და სოლომონ შენგელაია. კვარაცხელიამ გადასცა სამი რევოლვერი, სოლომონ შენგელაიამ სამი ბერდანა, 40 ვაზნა და ექვსი რევოლვერი.

6 დეკემბერს 6 საათზე ზუგდიდშივე შეიარაღებული ბრბო მივიდა ზუგდიდის პოლიციის სამმართველოსთან და შევიდა რა შენობაში, მოსთხოვა იქ მყოფ მწერლებს — პლ. სარჯაიას და მათე ფიფიას არქივის გასაღები, სადაც ინახებოდა იარაღი. როცა იმათ უთხრეს, რომ გასაღები არ აქვთ, მაშინ გასტეხეს კლიტე, შევიდნენ ოთახში და წაიღეს იარაღი— ბერდანები და რევოლვერები. გაშინჯეს ოთახები— კიდევ იპოვეს სამი ბერდანა და ისიც წაიღეს.

7 დეკემბერს 12 საათზე ღამით აჯანყებული ხალხი შევიდა ზუგდიდის მომრიგებელ განყოფილებაში და იქიდანაც წაიღეს იარაღი—ბერდანები და რევოლვერები, რომელიც იქ ინახებოდა, როგორც საბუთები.

7 დეკემბერს ღამის 12 საათზე ბრბომ მოითხოვა სატუსაღოში შესვლა, შეცვივდნენ რა ძალით, ზედამხედველს ჩამოართვეს გასაღები და გაუშვეს შეპყრობილები, აგრეთვე წაიღეს ოთხი სახაზინო რევოლვერი.

29 დეკემბერს 1905 წელს ანაკლიიდან ზუგდიდში სამ ურემზე მოიტანეს შავი ზღვით საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი შვეიცარიულ სისტემის თოფები 300 ცალამდე"...

იარაღდებოდა ხალხი საქართველოს ყოველ კუთხეში, ხოლო შეიარაღება არსად ისე არ განვითარებულა და ისე ფართე ხასიათი არ მიუღია, როგორც შორაპნის მაზრაში. აქ მოქცეულია ისეთი მუშათა ცენტრი, როგორც ჭიათურაა, ამავე დროს, არსად ისე ძლიერი არ ყოფილა ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორც ჭიათურაში. ბოლშევიკური ჭიათურის ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევდა შეიარაღებას და წითელი რაზმის მოწყობას. არ დარჩენილა საპოლიციო სადარაჯოები, რომ რაზმელებს არ განეიარაღებინოს იგი.

განაიარაღეს ზხარის საპოლიციო სადარაჯო, საიდანაც წაიღეს რვა ვინტოვკა ვაზნებით. განაიარაღეს თუირის და ყვირილის საპოლიციო სადარაჯოები და სხვა მრავალი.

ყვირილის საპოლიციო სადარაჯოს განიარაღების შესახებ შორაპნის „რესპუბლიკის" საბრალმდებლო ოქმში (ცენტრარქივი) ვკითხულობთ.... 4 დეკემბერს დილის 7 საათზე 500 კაცისაგან შემდგარი, თოფებით და ბომბებით შეიარაღებული ბრბო, სადარაჯოს გარს შემოერტყა. ბრბომ გამოჰყო რამდენიმე კაცი, რომელნიც მივიდნენ ურიადნიკ ბელორეცკისთან და წინადადება მისცეს, რომ ნებით გადაეცა მათთვის მთელი იარაღი, რომელიც სადარაჯოს განკარგულებაში იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ იარაღის ხმარებას, მასთან დაუმატეს რომ მაზრის უფროსი და ბოქაული—ორივე დაპატიმრებული არიანო...

შემდეგ ბრბოს გამოეყო რამდენიმე კაცი, შევიდა სადარაჯოს შენობაში, ბეჯითად გაჩხრიკა და რაც აქ იარაღი იპოვა—66 ბერდანა და 2000 ვაზნა—გაიტაცა... ამის შემდეგ რევოლიუციონერები პოლიციის სამაზრო სამმართ. შენობისაკენ წავიდნენ და რადგანაც აქ არავინ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია, იწყეს შენობის განადგურება, გაიტაცეს ფული, 18 ბერდანა, 16 სანადირო თოფი და სხვა იარაღი, რომელიც იქ ინახებოდა, უმთავრესად როგორც სხვადასხვა საქმის დამამტკიცებელი საბუთი.. აქედან ბრბო გაემართა ადგილობრივ საპატიმროსაკენ. შეცვივდა საპატიმროში და ერთი საკნიდან სამი პატიმარი გაანთავისუფლა...

ციხიდან ბრბო ხაზინისკენ გაეშურა, საიდაც განაიარაღეს აქ მდგარი დარაჯები და ნაფიცი მოანგარიშე"...

როცა ჭიათურის წითელი რაზმელები, როგორც ბოლშევიკებისა, ისე მენშევიკებისაც, ყვირილაში ჩავიდნენ და იქ [illegible] ერთიანი სამხედრო სარევოლიუციო შტაბი. მათ ალყა დაუყოვნებლივ და მალე გადაწყვიტეს და სიჩქარეშიც [illegible] ყვირილასა და ხარაგოულში მდგარი ტენგინის პოლკის ჯარისკაცების განიარაღება. იმავე შორაპნის „რესპუბლიკის" საბრალმდებლო ოქმში შემდეგნაირადაა გადმოცემული ტენგინის პოლკის ჯარისკაცების იარაღის აყრა: „30 დეკემბერს, დაახლოებით 3—4 საათზე, დაბა ყვირილაში მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა იქ მდგარი მე-77 ქვეითი პოლკის მე-12-ტე ასეულის ჯარისკაცებზე განიარაღების მიზნით. ეს ასეული იცავდა რკინის გზას და ხაზინას. სროლის დროს დაიჭრა 7 ჯარისკაცი (ერთი სასიკვდილოთ). ასეული განაიარაღეს. ამასთან აჯანყებულებმა გაიტაცეს 57 თოფი (ვინტოვკა) და სხვადასხვა ქონება, რომელიც შეადგენდა როგორც ასეულის, ისე ჯარისკაცების საკუთრებას...

... ამავე დღეს სადგურ ბელოგორის (ხარაგოულის) ახლო, თავს დაესხნენ მე-77 ტენგინის პოლკის ქვეითი ჯარის მე-11-ტე ასეულს, რომელიც განაიარაღეს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა შტაბს-კაპიტანი დავიდოვი და დაიჭრა სამი ჯარისკაცი. დანარჩენი ჯარისკაცები ტყვედ წაიყვანეს"...

ამნაირად რაზმელებმა ხელთ იგდეს 120 ვინტოვკა და რამდენიმე ათასი ვაზნა.

ასე ყველგან, საქართველოს ყოველ კუთხეში იარაღდებოდა ხალხი.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ რომ იარაღდებოდა მოწინააღმდეგე მხარეც. ასე მაგალითად, გორის მაზრაში შავი რაზმის შედგენის შესახებ—ასეთი ცნობა იყო მაშინდელ გაზეთებში მოთავსებული: „ქართველ თავად-აზნაურობას მოუწყვია ადგილობრივად უსაქმოთ მოხეტიალე ხულიგნები და გამოუწყვია ეგრეთწოდებული თავად-აზნაურთა დრუჟინა 700 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურს დამთავრებული პირი ზ. აბდუშელიშვილი. ეს ვაჟბატონი თურმე მათრახით ხელში მაწანწალა ბრბოს თანხლებით დაიარება ქართლის სოფლებში და შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებლებს. ამ ბრბოს სახელად ჰქვია გორის მაზრის თავად-აზნაურთა ურთიერთ დახმარების საზოგადოება"... (მოგზ. № 17).

რევოლიუციური სულის კვეთების გაძლიერებამ და გლეხობის მიერ წითელი რაზმის შექმნამ, შემდეგ ეს შავი რაზმი მოისპო და ამნაირად შეიარაღებულ გლეხობას ხშირად უხდებოდა შეტაკება მთავრობის ჯარებთან.

გლეხების რევოლიუციური გამოსვლები ხშირდებოდა და მთავრობას აღარ ჰყოფნიდა ამისთვის ჯარი. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, აქ მოვიყვანთ მთავრობის მოხსენებიდან ერთ ადგილს—...„ მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გორის მაზრის უფროსის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, 250 კაცისაგან შეიარაღებულმა ბრბომ განაიარაღა ცხინვალის სადარაჯო 10 დარაჯისაგან შემდგარი. კაზაკები მაზრაში ცოტაა და რაც არის, იმყოფებიან ისეთ ადგილებში, საიდანაც იმათი მოხსნა არ შეიძლება. გაფიცვა სრულია, მდგომარეობა მწვავე. მოსახლეობა იარაღდება"... აი, ასე ლაკონიურად არის მოცემული მაშინდელი მდგომარეობა სოფლად, ერთ-ერთი მთავრობის მოხსენებაში.

მაზრებიდან თბილისში იწერებოდენ ჯარის დახმარებას, მაგრამ თვისთვის თვით იყო რევოლიუციურ ალში გახვეული და მთავრობა ვერაფერს ხდებოდა... ახლოვდებოდა დეკემბერი...

**დ. სულიაშვილი.**

# საბჭოთა აღმშენებლობა



სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ისახავს უდიდეს კაპიტალურ მშენებლობას. ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში აიგო და ამუშავდა მთელი რიგი სამრეწველო გიგანტები. მესამე წლისათვის მოთავდება კიდევ რამდენიმე გიგანტი. მესამე წლის დასაწყისისათვის იაროსლავლში მოთავდება „რეზინოკომბინატის" მშენებლობა. უკვე იდგმება ახლად აგებული ფაბრიკის მოწყობილობა. დაიწყო შინების ქარხნის 7 კორპუსის აგება. ეს ქარხანა წელიწადში 4½ მილ. შინას გამოუშვებს. თავის სიდიდით და სიმძლავრით ქარხანა ევროპაში პირველ ადგილს დაიჭერს. ქარხნის ამუშავების შემდეგ შეწყდება შინების იმპორტი და ქარხნის პროდუქციის ნაწილი კი საზღვარგარეთაც გაიგზავნება.

გარდა ამისა, კომბინატში შევა რეგენერატორული, ტყავის, აზბესტის და სხვ. ქარხნები. მთელი კომბინატი აიგება და ამუშავდება ხუთწლედის მეოთხე წლის ბოლოს.

კომბინატში იმუშავებს 20 ათასი მუშა. სწარმოებს სოციალისტური მუშათა ქალაქის კაპიტალური მშენებლობა.

კომბინატის მშენებლობა დაჯდება 150 მილ. მანეთამდე.

მშენებლობაზე მუშაობენ უცხოელი სპეციალისტები. ერთმა სპეციალისტმა, საბეტონო სამუშაოების ხელმძღვანელმა გერმანელმა ინჟინერმა ბორეკმა პირობა დასდო დარჩეს მშენებლობაზე მის დამთავრებამდე.

სურათზე — შინების ქარხნის პანორამა.

# იმპერიალისტების „მოღვაწეობა"



საფრანგეთის გენერალი ბრუკარდი სინჯავს ახალ ჰაერის საწინააღმდეგო საზენიტო ზარბაზანს



[illegible]

# ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ

[illegible]



[illegible]



ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. [illegible]

[illegible]



[illegible]



[illegible]



ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. [illegible]



„დნეპროსტროი“



ბათუმი. „მაშინოსტროი“-ს სამუშაოები

შაო ძალის. ქარხანა ღებულობს ახალ ძალებს, მაგრამ მათი აღზრდა, გარდაქმნა მათი ხნულიდან, შედარებით რთული პროცესია და სირთულობას მოითხოვს. მუშათა კადრი მოძრავია. აპრილში მიიღეს 167 ახალი მუშა, მაგრამ ამავე თვეში 137 უკანვე წავიდა. აქ მთელი ნაკვეთია გასახსნელი საბჭოთა ქარხნისთვის.

— სოციალისტური მრეწველობისათვის საჭიროა მომზადებული მუშები! დღეს ერთი მეიდეებ შეგიძლიათ სოფლიდან მოსულს, ვასწავლი მანქანის მართვას, მაგრამ მეორე დღეს ის სხვაგან გარბის. ამაზე ქარხნის დირექციამ უნდა მიიღოს ზომები. შეჯიბრებაში ამხანაგი გამიწვია და დამარცხება მომელის! წარმოების სიყვარულით გატაცებული მუშა უფრო ენერგიული და დაუზარებელია, ვინემ გუშინ მოსული კაცი.

ბოხი ხმით ბჭობს ამხანაგი კუპრაძე- დამკვრელი წინდაწინ ზომავს მომავალს. შლის გეგმას და [illegible]ელობს მასში რაც მტკივანია დღეს.

— უნდა გვიყვარდეს თითოეული მანქანა, იარაღი და მთელი ქარხანაც ისე შეგვიყვარდება, რომ ვეღარ გაიქცევით მას თქვენ სიცოცხლეში. ეს გაზრდის საბჭოთა წარმოებას. ჩვენმა ცეხმა შეასრულა გეგმა. საძირე ცეხმა კი ვერა, ეს წარმოების ჩამორჩენაა!...

თავისებური კილოთი გაიმეორა კიდევ სოსიამ. „გიყვარდეთ მანქანა“ ეს მისი ლოზუნგია. მას ათი ილებოდა იტყვის ყოფილ სალდარში, როდესაც საკითხი მანქანებზეა. 35 წელმა ის მთელი არსებით გადააჯაჭვა წარმოებას. ჩაბერა ინდუსტრიალური სული. სოსიამ მანქანის მართლაც შეყვარება იცის, არა ისე, როგორც ეს აღფრთოვანებულ რომანტიკოსებს მოსდით, არამედ ისე, როგორც ამას მოითხოვს მანქანისადმი დამოკიდებულება, გამოყენება მისი წარმოების გაუმჯობესებისათვის, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის.

დირექციამ მანქანები შეისწავლა. სოსიას სახერხის ადგილი რადიკალურში სამპირიანმა ხერხმა დაიჭირა. მანქანებზე „შეყვარებულს“ პირველად ეწყინა ახალ მანქანაზე გადასვლა; დატოვება ნაჩვევის—მაგრამ ეს ხომ წარმოების მეტ სარგებლობას მისცემს? ხომ მეტათ შეამსუბუქებს შრომას!!... ელექტრონი თავბრუდამხვევით ატრიალებს მას და მაშ ეს უკეთესია ძველზე!...—გადასწყვიტა სოსიამ. გულში გატარებული აზრი არავისთვის გაუზიარებია.

— სსსს!!!

— შრშშ!...

შეიშმუშმუშნა ნელა მანქანები და გაჩერდნენ. ტეხნიკოსმა გადმოსწია ელექტრო-საკეტი. ქარხნის ძარღვებში სისხლის დენა შესწყდა. არტერიებში წალეკილი საზრდო ლიპიდებმა გზაზე შეაჩერა. მისწყდა დინების სრიალი. დადუმდა მანქანების ხმა და გორებიანმა საათმაც მაშინ იტრიალა. ხმა გამოიღო და 2 საათი და 30 წამი უჩვენა. ქარხანაში მანქანების გამაყრუებელმა ხმამ საყვირის მჭექარება ქარხნის თავზე გადაატარა. მუშებმა ის მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა დინამომ მაჯის ფეთქვა შეაჩერა.

ქარხნის ეზო მუშებით გაივსო. სამხერხაო და დამხარისხებელ ცეხებიდან გამოსულმა საწყობის გზით გასწიეს.

განიერი ფართობი წიფლის მორებით გაჭედილიყო. ჩარხის წყლიდან შარამდე ეყარა მსხვილი მორები. წიფლის ტყემ მისცა უხვი მასალა საკასრეს. ბაკურიანი-ბორჯომი-ახალციხე-ადიგენის ეზიდება მერქნის ფაბრიკებიდან ძვირფასს ნედლეულს და აწვდიან ქარხნის მშიერ კუჭს.

ბაკურიანის აგარაკიდან დაფარაყრილი მოექანება პატარა ორთქლმავალი. დატვირთული რონგები მასრიალებენ ხევებში და ლოკომოტივის კიდილი იარგება ფიჭვის, ნაძვების, და წიფლის ასწლოვან ტყეებით დაფარულ მთებში. ლიანდაგი იკლაკნება, ეხვევა მთის კალთებს და აჩიშინებული მზიდავი ოხრავს საკასრე ქარხნის ეზოსკენ.

მოაქვს მთის ღიღება!

მოაქვს ახალი ამბები.

მერქნის ფაბრიკა აწვდის მასალას სოციალისტურ მრეწველობას ახალ ათშენებლობისათვის!

ლოკომოტივი № 3804 ქშენით შეიჭრა მუშათა უბანში. ფერადი ფარა მუშის ქარხანას და საკასრე ქარხნის სემაფორს ძიგძიგი დააწყებინა.

შაბაშის შემდეგ ქარხნის ეზოდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ მუშები. ისინი მას ლაპარაკით, ლაზათიანი სიცილით სტოვებდნენ მიდამოს, მიმავალი ჯგუფები გამოსასვლელში გაკეთებულ დაფებს შინჯავდნენ.

დაფები „ადმინისტრაცია“!

— ქარხკომი!

— კომუჯრედი!

— ახალი რა არის?

კითხულობს თითოეული და მშვიდი სახით ბრუნდება ქარხკომისაკენ „მუშის“ „ზარია“-ს, „პრავდა“-ს მისაღებათ.

„დღეს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის ხუთ საათზე მუშათა კლუბში შესდგება მუშათა გაერთიანებული საწარმოო კონფერენცია.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საკასრე ქარხნის მუშკომი“.

სოსიამ დინჯათ ამოიკითხა განცხადება. მალიანად მოავლო თვალები სოც-შეჯიბრების დაფას, აათვალიერა სვეტები: „კუს“, „ლოკოკინის“, „ცხენის“, „მატარებლის“, „ავტომობილის“ და „აეროპლანის“. ცარცით ჩაწერილი ბრიგადები მეტყველებდნენ; —„ვინ ჩამორჩა და ვინ დაწინაურდა.“

ძველმა მუშამ ულვაშებში ჩაიცინა, როცა თავისი ბრიგადა „აეროპლანზე“ ნახა და კმაყოფილი სახით გამობრუნდა.

## ჯანსაღი მკერდები

პირველი სმენა მორჩა. მანქანებმა ნახევარი საათი დაისვენა. სამიდან ისევ ახრიალდნენ. ხელოვნური საკანი ივსება ნედლი დახარისხებული მასალის რონებით. ოფლგადადენილი ტკეჩი გამოფიტული ბრუნდება უკან. ყვითელი სახე გაფითრებია, თითქოს შეცვლილია და ახლა მზეზე მიეშურებიან საზაფროთ. ბოლოს დამხარისხებელ ცეხში შეუვევენ, გადაიფუნცლებიან მუშა ქალების ხელში, გაიფხეკენ გვერდებს სუფთა პირიან ლითონის საფარცხლით და კონებათ შეკრულებს მაზაგონობას ულოცავს მხიარული ახალგაზრდა მუშა-ქალები—ლურჯხალათიანები. დატკეპნილი რონოდებიც იგზავნება ჩრდილოეთ-კავკასიისკენ კასრების შესაკვრელად.

ბორჯომის საკასრე ქარხანა პროდუქციას აწვდის მეზობელ რესპუბლიკის ქარხნებს, ხადაც სპეციალურად სწარმოებს მხოლოდ კასრების გამოშვება.

დაზგებზე მეორე წყებაა.

პირველმა ცვლამ სადილის შემდეგ კრებაზე იწყო შეკრება. ათეული ველოსიპედები დაწრიალებს ქუჩებში. სამუშაოების შემდეგ მუშები სპორტს ეწევიან, ახალგაზრდებს საბურთაო მოედანი აქვთ მოწყობილი. ფუტბოლის ხმა შორს ისმის ჩრდილ გადაფარებულ ხევში. ველოსიპედის წკრიალა ზარები ხმაურობენ ყოველ კუთხეში. კრებაზე მოდიან.

კლუბში შეგროვილი მუშები ჭადრაკს თამაშობენ. ახალგაზრდა მუშა ნელი სიცილით მიწყებს მასლაათს შეჯიბრების აზარტში შესული. უცხო კაცს შორიდან უყვება, მაგრამ ჩვეულებრივი გაბაასება საქმეთ შეიქნა, რომ ჩვენ თამაშს ყურადღება მიეპყრო.

ლამაზად მორთული კლუბის პარტერი ჯგუფ-ჯგუფად მჯდომი ხალხით ივსება.

არის თამაში: ჭადრაკის, დომინოს, ნარდის!

ხუმრობენ სოც. შეჯიბრებაზე.

განიერი ლოზუნგები ლიათ გამოიყურებიან.

ბორჯომში საკურორტო ადგილია და აქაური მუშები შედარებით უფრო მკვირცხლი გამოხედვისანი გვეჩვენებიან, ვინემ კვამლით გადახუნულ ქალაქში. მათი სახე ისე ცოცხალი და მიმზიდველია, როგორც მთიანეთში შეჭრილი მატარებლის დანახვა ხევულებში. ბუნების სიუხვე და სუფთა ჰაერი პირველი ფიზიკური ნიშანია ჯანსაღ მკერდებზე.

ქარხნიდან ნახევარ კილომეტრის მანძილზე მტკვრის მარცხნივ ნახავთ ახლად აგებულ მშვენიერ სახლებს. მათს ძირს ფიცრული შენობები ახალ სტილზეა ნაშენები.

სატყეო ტრესტს აუშენებიათ მუშათა საცხოვრებლები!, ახლა ამ მშვენიერ სახლებში მუშები სცხოვრობენ. აქამდე ჭუჭყით მტვერში ამოსვრილ ქოხებში იყვნენ.

შინაგან სიამოვნებით ამბობს ქარხკომის

# არქეოლოგიური გათხრები სვანეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავი შეეძლო ეფიქრა, რომ ს. იფარის მიდამოებში მადნეულობების დამუშავება ასე ფართოდ იქნება დაყენებული, მაგრამ სხვა ადგილებში, სვანეთში, რომ ძველად მადნებს ნახულობდენ და ამ მადნების დასამუშავებელი ქარხნები არსებობდნენ, ამას შემდეგი ისტორიული ცნობები და მეცნიერების მიერ ჯერ ხელშეუხებელი, სვანეთში ამჟამად აღმოჩენილი საბუთები აშკარად ამტკიცებენ:

გამოჩენილი ბიზანტიელი გეოგრაფი სტრაბონი, სხვათა შორის, სწერს: „სვანები სცხოვრობენ კავკასიონის მწვერვალებზე დიოსკურიის ზემოდ, ამ ქვეყნის მთის ნაკადულში არის ოქრო, რომელსაც იღებენ პირდაჩხვეტილები კასრებითა და საწმისებით— ამის გამო, ალბათ, წარმოსდგა თვით გადმოცემა ოქროს საწმისის შესახებ" და სხვ... ხოლო პლინიუსის თქმით, ეგვიპტის მეფე სეზოსტრისის მოგზაურობას კოლხიდაში და აზონის მეთაურობით არგონავტების შემოსვლას ერთი და იგივე ოქრომატყლოვან ვერძის ხელში ჩაგდება ედვა საფუძვლადო, ხოლო მისი მფლობელნი კი იყვნენ „სვანკოლხები და არა ეგვიპტელ-კოლხებიო" და სხვ. გარდა ამისა, პლინიუსი სწერს კიდევ: „ამბობენ, რომ კოლხეთის მეფეს ჰყო საეთაკი, აიეთის შთამომავალი, ამან სვანთა ქვეყნიდან ბევრი ოქრო და ვერცხლი გამოიღო. სხვათა ხელობაა ოქროს მადნების დამუშავებაო. ამას გარდა, ეს ქვეყანა ცნობილია კიდევ ოქროს საწმისის ამბით, აგრეთვე მოთხრობით შესახებ ოქროს ცამარადებისა, ვერცხლის კოჭაკებისა და სვეტებისა, რომელიც ამ მეფემ წაართვა ეგვიპტის ფარაონს სეზოსტრისს" და სხვ. *)

სამწუხაროდ სვანეთი მეცნიერულად ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუკვლეველია და ამიტომაც ამ კუთხის ბევრი ისეთი ადგილება, სადაც მრავალი ჩვენი ძველი კულტურის, ხელოვნების და სიმდიდრის საუკეთესო ნაშთებია დამარხული, დღემდე ხელშეუხებელი და ბურუსში გახვეული რჩებიან და ამიტომაც არის, რომ სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ძვირფასი ცნობები

*) ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია—გვ. 316 და 30. (შენიშვნა ჯანაშვილისა).



კურორტი მოაში (სვანეთი). სამკურნალო წყარო

სვანეთის შესახებ, თითქმის ლეგენდარულ ანუ ზღაპრულ თქმულებათ მიაჩნიათ სვანეთის მკვლევართ, მაგრამ დღეს კი მათ ფასი ერთა დაედვას, ვინაიდან უკვე თავი იჩინა მრავალმა საბუთმა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ისტორიკოსებს ჩვენთვის უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ცნობები დაუტოვებიათ, რასაც ნათელს ჰფენენ სვანეთში ყოველწლიურად ნახული ის ძველი ნაშთები, რომელთა მიხედვითაც ადვილად შეიძლება ითქვას, რომ როგორც გადმოგვცემს სტრაბონი, თვით გადმოცემა ოქროს ვერძზე იყოს წარმომდგარი იმ მატყლოვანი ტყავებისაგან, რომელთა საშუალებითაც მთის ნაკადულებიდან სვანები ოქროს იღებდნენ და სხვ.

ხოლო სვანეთის მდინარეებს, რომ ერთ დროს მართლაც ოქროს ქვიშა ჩამოჰქონდათ და მრავალნაირი მადნეულობების დამუშავება სვანეთში სწარმოებდა იმ დროს, ამის დასამტკიცებელმა საბუთებმა, როგორც არის უკვე ნათქვამი, მრავლად იჩინა თავი.

ზემო-სვანეთში (ჩუბეხევის საზოგადოებაში) მდინარე ნენსკრას (ქვიბრულდის) ხეობაში მდებარე უდაბურ ტყეებით და ფიჭვ-ნაძვნარით დაფარულ ადგილას ქვია „ჰვიბერ"-ი.ეს კუთხე მე-19 საუკ. ეკუთვნოდა სვანეთის გლეხკაცობას, მერე თავად მურზაყანს (კონსტანტინე) დადეშქელიანის მიერ 1857 წ. 22 ოქტ. ქუთაისის გუბერნატორის გაგარინის მოკვლამდე დადეშქელიანებს, ხოლო ამის შემდეგ ხაზინას.

ამ ადგილს შუაზედ ჰყოფს იმ დონგუზორუნის მყინვარებიდან მომდინარე წყალი ნენსკრა, რომელსაც სვანები ქვიბრულდს ეძახიან. ამ კუთხეში ძველად ხალხი არ ცხოვრობდა, მაგრამ დაახლოებით 1890 წლიდან ჩუბეხევისა და შემდეგ ფარის საზ. გლეხკაცობამ დაიწყო იქ გადასახლება, ტყეებისაგან ადგილების გაწმენდა, ყანების გაკეთება და მიწის დამუშავება, რომაც მისცა მათ სასურველი შედეგები და ამჟამად ეს კუთხე წარმოადგენს 120 მოსახლისაგან შემდგარ, მიწის ნაყოფიერების წყალობით მდიდარს სოფელს. ყოველწლიურად აქ ხვნის დროს ყანებში, ხოლო ტყეებში მუშაობისა და მოგზაურობის დროს ადგილობრივი მკვიდრნი ნახულობენ ძველებურ ოქროს, ვერცხლის, თითბერის ფულებს და ნივთებს, მადნების დასამუშავებელ შენობების ნანგრევებს და იარაღებს, დამუშავებულსა, დამზადებულსა და დაუმუშავებელ მასალებს და სხვ.

პირველად ხვნის დროს აქ მიწაში ნახა ბლომად ოქროს ფულები ადგილობრივმა მკვიდრმა ნავლად ვიბლიანმა, მაგრამ ამ ძვირფას არქეოლოგიურ ნაშთებს, ფასის უცოდინარობის გამო, ეს ყრუ სვანი ისე მოეპყრო, როგორც მამალი მარგალიტის მარცვალს და მალე ისინი ჩაუგდო ხელში მუქთად ზოგი სვანეთში მოვაჭრე სომხებს, ზოგი თავადებს და სხვ.

მას შემდეგ ასეთი ფულები ნახა ტყეში მუშაობის დროს. ს. მარხში ერთი დიდი ქვის ქვეშ მეორე სვანმა ივანე დევდარიანმა, მაგრამ იმანაც ასე უთავბოლოდ გაფლანგა მალეს სიმდიდრე.

ეს ფულები იყო გაყოფილი სამ კატეგორიად. ერთზე იყო დახატული ერთის მხრით რაში, რომელსაც კისერში ისარი აქვს გაყრილი, ხოლო მარჯვენა ფეხზე აღმოცენებულია პურის მარცვალი. მეორე გვერდზე კი დახატულია კაცის თავი ეკლის გვირგვინით შემკობილი (პონტიკაპეიკა).

მეორე ფულზე ერთის მხრით არის დახატული ალექსანდრე მაკედონელის თავი, ხოლო მეორე გვერდზე ანგელოზის ქვეშ ბერძნული წარწერა: „ალექსანდრე".

მესამე ფულზე დახატულია: კაცი პურის მარცვლით ხელში. მეორე გვერდზე აქვს წარწერა „კერჩ".

როგორც ირკვევა, ზემოხსენებული ნავლად ვიბლიანი ნადირობის დროს, სადღაც უდაბურ ტყეში სრულიად შემთხვევით წააწ-



ახალი სკოლა სოფ. ლეჟამულში (სვანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ზაფხულის განმავლობაში სახკინმრეწვის კინო-ექსპედიცია მუშაობდა აფხაზეთში მხატვრული ფილმის „დოლი"-ს გადასაღებად (რეჟ. დავით რონდელი, ოპერატორი—დილმელოვი. სურათზე—მარცხნიდან მარჯვნივ ამხ. ხითაროვი, მაქს ჰელცი ლ. სუხიშვილი მასიური სცენის გადაღების დროს.

ყდა თუნდაც აგრეთვე ისეთ შენობას, რომლის შემჩნევაც ძნელია, ვინაიდან ის დაფარული ყოფილა მიწითა და ხავსით სიძველის გამო. ამ შენობაში მას უნდა ენახა ბევრი ოქროს ფული, ოქროს სკამი, ბევრი სხვადასხვა ოქროს იარაღები, ნივთები, ოქროს ვერძი და ამიტომაც ის ეკლესიით მოული. ის ოქროს ფულები, რომლებიც მას ჰქონდა, უნდა ყოფილიყვნენ—ზოგი მიწაში ნახული, ზოგიც ამ „ეკლესიიდგან" გამოტანილი.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე და მას დაეხოცა ცოლ-შვილი, ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა პირუტყვი. სვანმა ასეთი უბედურების მოვლინება და მძიმე დასჯა მიაწერა „ეკლესიიდგან" ნივთებისა და ფულების გამოტანას და რომ ასეთი ღვთის გამწყრომისა და რისხვისაგან მას თავი დაეხწია, ყველა ეს ნივთები (რაც გაყიდული არ ჰქონდა) ეკლესიას დაუბრუნა, ხოლო ჩადენილ ცოდვების მოსანანიებლად და ღვთის გულის მოსაგებად მან აღუთქვა ღმერთს ყოველწლიურად ერთი ხარის მსხვერპლად შეწირვა. ამის შემდეგ სვანმა თავისი საიდუმლო არავის გაუზიარა —ისე ჩავიდა საფლავში.

1910 წელს ჰვიბერში, სოფელ მარხში, ხვნის დროს, მიწის ქვეშ აღმოაჩინეს გლეხებმა ქვის შენობა, რომელიც სავსე იყო სხვადასხვა ლითონის ჩაქენებით მაკრატლებით, იარაღით და სხვა ნივთებით. სხვათა შორის ამ შენობაში ნახეს აგრეთვე ლეკური და კან მომწვარი პურის ხორბალი.*) ხოლო იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ყოველწლიურად ადგილობრივი მკვიდრნი მუშაობის დროს ნახულობდნენ ბევრ სხვადასხვა ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნივთებს, იარაღებს, მძივებს და ჩამოსასხმელ დამზადებულ ოქროს ფურცლებს, რომლებისაგანაც ადგილობრივი მჭედლები ბეჭდებს აკეთებდნენ.

*) სვანების ახსნით, ძველად პურის მარაგი რომ არ წახდენოდათ, გახურებულ ქვაბებში პურის ხორბალს ყრიდენ, კანს მოსწვავდენ და ისე ინახავდენ.

1913 წელს ამ ადგილიდან სამი ვერსის მანძილზე სალიბე ქალდანმა ნახა ბევრი ნივთები და მათ შორის ვერცხლის ფული, რომელზედაც ეხატა თევზი არწივის ბრჭყალებში და სხვ. ხოლო მეორე სვანმა ხარის პატარა ოქროს თავი. ასეთმა საყურადღებო მოვლენებმა ჩემში გააღვიძეს სურვილი პირადად მენახა და დამეთვალიერებინა ეს არქეოლოგიური კუთხე, ადგილობრივად გავცნობოდი ყველა საბუთებს და ამიტომ წავედი სოფ. ჰვიბერში, სადაც საქმის დაკვირვებამ თვალწინ გადამიშალა შემდეგ სურათი: მდ. ჰვიბრულდის ხეობაში არის მოთავსებული ზემოხსენებული სოფელი ჰვიბერი, რომელსაც ეს მდინარე შუაზე ჰყოფს. მის მარცხენა ნაპირზე სოფ. მარხის ჩრდილოეთით ტყის ფერდობში არის აღმართული ერთი მაღლობი, მიწითა და ვეებერთელა ხეებით დაფარული, მათ ფესვებს ქვეშ აღმოჩნდა შენობების ნანგრევები, სადაც ერთ დროს, როგორც ეტყობა, წარმოებდა სხვადასხვა მადნების დამუშავება და მისგან სხვადასხვა ნივთებისა, ოქროსა და ვერცხლის ფულების გაკეთება.

ამ ნანგრევების გარშემო ჩაფლულია მიწაში ქურები, რომლებიც სილით არიან ამოვსებული. მის სამხრეთით მდებარე ტყე რამოდენიმე ვერსის მანძილზე დაფარულია ნამჯკიდურით ანუ ნამჭედურით (სვანურად — მხიბ). ამ თიხის მილების ნატეხებით, რომლებსაც ძველ დროში სამჭედურებში საბერავების თავებად ხმარობდნენ. ამ მილებში გაქვავებულია ნაკიდური, რის გამოც ისინი ეტყობა საქმისთვის უვარგისი ხდებოდენ და ტყეში ჰყრიდნენ.

ამ ნანგრევების აღმოსავლეთით აღმოჩენილია ივ. დევდარიანის მიერ ის ფულები, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. მის ჩრდილოეთით ტყეში 12-მდე დიდი ქვის როდინები (ქვასანაყებია). სამხრეთით სალიბე ქალდანის მიერ ნაპოვნი ფული, სხვა ნივთები და აგრეთვე ის ზემოხსენებული 1910 წ. ს. მარხში მიწის ქვეშ მუშაობის დროს აღმოჩენილი შენობის ნანგრევები, სადაც შევრი ნივთები იყო:

ხოლო მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ჰერში მეკეშიაბოგის (მოკლე ხიდის) ყურთან არის მიწითა და ტყით დაფარული, ჯერ ხელუხლებელი შენობის ნანგრევები (მაღლობი). ამ ნანგრევების დასავლეთით ერთი ვერსის მანძილზე აღმოჩენილია პირველად ზემოხსენებულ ნაულად ვიბლიანის მიერ ის ოქროს ფულები, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და აგრეთვე ერთი შენობის ნანგრევები და სხვ.*)

არ ყველა ეს ნანგრევები ჯერ-ჯერობით ხელუხლებელნი არიან, მაგრამ მათ გარშემო არსებული საგნები, როგორც დავინახეთ, აშკარად მოწმობენ და ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე იმ დიდმნიშვნელოვან, უხსოვარ დროიდგან დროთა ვითარების მოხვებით მიწის გულში გახვეულ ძვირფას არქეოლოგიურ შენობების ნანგრევებთან, რომლებშიაც ერთ დროს ენთო ლამპარი წარსული კულტურისა და ხელოვნებისა.

1926 წ. ჰვიბერში ნახული ოქროს ფული, რომლის მსგავსიც დღემდე არ ნახულა ამჟამად აქვს ცეპა ცინდელიანს. იმავე ხეობაში ალექსანდრე გარდანმა ნახა სპილენძი კალაპოტში ჩამოსხმული, წონით სამი ფუთი. იმავე წელს ნახული ოქროს მოზრდილი ნაჭერი აქვს ბაქრი ქალდანს.

ამნაირად მე ვფიქრობ, რომ ამ ნანგრევებისა და ჰვიბერის შესწავლა მომავალში დასაბუთებულ, იშვიათ და უცხო მასალებს შესძენს მეცნიერებას, ერთი მხრივ, იმ საკითხის გაშუქებაში, რომ დღეს-დღეობით უკულტურო, ჩამორჩენილი სვანეთი ოდესღაც იშვიათი კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ყოფილა, ხოლო მეორე მხრივ სტრაბონისა და პლინიუსის ზემოხსენებული ცნობების შესახებ და სხვ.

**ეგნატე გაბლიანი**

*) სავარაუდო ის არის, რომ ყველა ამ შენობებს ეტყობა ჰქონდათ ერთი და იგივე დანიშნულება— მადნეულობის დამუშავება და უბრალო ანუ საცხოვრებელი სახლის სახე და სიდიდე არა აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურიის ნავთიან ადგილებში

გურიის ნავთი გერმანელების მიერ შემჩნეული იყო ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში. გერმანელი აქციონერები კიდეც აწარმოებდნენ ოზურგეთში ნავთის საცდელ მუშაობას. მაგრამ ხელი შეუშალა მათ „საქმიანობას" რევოლუციამ.

ამის შემდეგ მიყრუვდა ლაპარაკი გურიის ნავთზე.

1926 წელში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

არის თუ არა გურიაში ნავთი?

ეს კითხვა, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის.

საცდელი ბურღვის დროს ნავთის ნიშნები ჯერ კიდევ 74 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. ასეთივე განმეორდა 185-ზე და 325 მეტრის სიღრმეზედაც.

დღემდის სულ ამოღებულია 636 ფუთი მძიმე შავი ნავთი.

ამჟამად კი ჭაბურღილის სიღრმე უდრის 670 მეტრს.

მიუხედავად ყოველივე ამისა ნავთის არსებობის პირდაპირ პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ გურიაში არის ნავთის ბუდობები.

საკვლევ ბურღვასთან დაკავშირებით „აზნეფთის" გეოლოგიური ბიურო ამ რამოდენიმე ხნის წინად აწარმოებდა ნიადაგისა და ფენების გამოკვლევას.

ამ მიზნით ოზურგეთშივე მოწყობილი იქნა 3 კოშკი. № 1 კოშკის მიერ გაჭრილი იქნა 150 მეტრი. № 2-ის მიერ იმდენივე. მაგრამ ამ ცდიდან ვერავითარი რეალური შედეგი ვერ გამოიღეს, რადგან მათ ბურღვის პერიოდში შეხვდათ ზღვის ნალექი ფენები.

№ 3 კოშკის მიერ გაჭრილი იქნა 250 მეტრი და ამით დამთავრდა ნიადაგის შესწავლის საქმე ოზურგეთში.

ფიქრობენ, რომ 1.000 მეტრის შემდეგ ნახენ მდიდრებთ ნავთს.

საცდელი მუშაობა გრძელდება.

საკავშირო სამეცნ. ზედაპირული კომისიის დადგენილებით, რომელიც რამოდენიმე დღის წინად გაეცნო გურიის ნავთის საკითხებს, უახლოეს ხანში დაიწყება ახალი საცდელი ჭაბურღილის მოწყობა სოფ. ჯალიანში, სადაც უფრო თვალსაჩინოა ნავთის ნიშნები.

სულ მოეწყობა ორი კოშკი, რომლის მუშაობა დაიწყება არა უგვიანეს 1931 წლის იანვრისა.

1927 წლის ოზურგეთში მუშებისათვის გახსნილი იყო სასადილო. მაგრამ რატომღაც ამჟამად ის დაუხურავთ. ცუდი კვების გამო ადგილი აქვს მუშების ხშირ ავადმყოფობას. საჭიროა სასადილოს გახსნა.

აქვე გახსნილია სამკითხველო. გამოდის კედლის გაზეთიც, მაგრამ იშვიათად ნახავს მას კაცი. სამკითხველო მუდამ დაკეტილია. კედლის გაზეთი კი დაკეტილ კარებში მოთავსებულია.

რა უპირატესობა ექნება გურიის ნავთს? თუ ავიღებთ საბჭოთა კავშირის ნავთის მომწველ რაიონებს, (ბაქო და სხვა) დავინახავთ, რომ აუარებელი თანხები იხარჯება ნავთის ტრანსპორტზე.

გურიის ნავთიანი ადგილები კი, შავ ზღვაზე დაშორებულია 4-5 კილომეტრით.

სწორედ ამიტომაა, რომ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გურიის ნავთს.

# სან-აგიტ თეატრი

უკვე მეორე წელიწადია, რაც რეჟისორ ვიქტორ ნინიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოცდილ და ენერგიულ სცენის მუშაკთაგან თბილისში ჩამოყალიბდა და სისტემატიურად მუშაობს ქართული სანაგიტთეატრი. ამ ხნის განმავლობაში ამ თეატრმა ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენს კულტურულ საქმიანობაში. მუშაობის თემად თეატრს აღებული აქვს ბრძოლა ლოთობისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ, ვენერიულ სნეულებათა მიზეზობის და ძველი ყოფა-ცხოვრების მავნე მხარეების წინააღმდეგ. პირველი წარმოდგენა დადგა თეატრმა 1929 წლის იანვარში და მას შემდეგ იგი სისტემატიურად ემსახურება თბილისის ყველა მუშათა კლუბებს. თეატრს კულტშეფობა აქვს აღებული ქართული ჯარის ნაწილებზე და ეს მეორე წელიწადია სისტემატიურად უდგამს წარმოდგენებს ჩვენი ჯარის ქართულ ნაწილებში, როგორც თბილისში, აგრეთვე ზაფხულობით ბანაკათ ყოფნის დროსაც.

დღემდე თეატრს მომზადებული აქვს ოთხი სხვადასხვა პიესა, დადგმულია სხვადასხვა ადგილებში 150-მდე წარმოდგენა, რომელზედაც დამსწრეთა საერთო რიცხვი 75.000 აღწევს. თეატრმა წელს მოიარა ქართლი და კახეთი, სადაც მთავარ ცენტრებს გარდა შორეულ სოფლებშიაც დადგა უფასო წარმოდგენები სოფლის ღარიბობისათვის. თეატრის მუშაობა ყველგან საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებდა. პროვინციაში მოგზაურობის დროს გლეხობა და აგრეთვე მუშა - მოსამსახურენიც კატეგორიულად მოითხოვდნენ რათა თეატრმა ხშირად იმოგზაუროს და ხშირად უჩვენოს მათ ასეთი პიესები და სასარგებლო წარმოდგენები. თბილისში ხომ თეატრს უკვე ყავს მუშათა ფართო მასებისაგან ჩამოყალიბებული თავისი მუდმივი აუდიტორია, რომელსაც უყვარს ეს თეატრი, შეეჩვია და შეითვისა იგი და რომლისაგანაც მოელის რეგულარულ სამსახურს კულტურულ ფრონტზე.

თეატრის მიერ დღემდე ჩატარებული მუშაობა ქალაქად დიდებულად და ფრიად სასარგებლოდ ხასიათდება.

ამ დროს როდესაც ხდება ძველი ყოფა-ცხოვრების გადმონაშთების, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არის ჩვენს მოსახლეობაში ფეხმოკიდებული ვენერიული სნეულება, ლოთობა და ძველი ყოფა-ცხოვრების სხვა მავნე ზნე-ჩვეულებანი, ამ თეატრს უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიან მშრომელთა ფართო მასებისათვის.

დღემდე თეატრს მატერიალურ დახმარებას უწევდა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება, რკინის გზელთა პროფკავშირის თბილისის საბჭო, კომიტეტი და რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება. მაგრამ ეს მეტად მცირე თანხებით, რომელსაც თეატრი დღემდე ღებულობდა (დაიწყო მუშაობა თვეში 300 მანეთით და ამ ბოლო დროს მიაღწია თვეში 600 მანეთს) რა თქმა უნდა, მუშაობის ნორმალურად წარმოება შეუძლებელია და მხოლოდ თეატრის მუშაკთა ენერგიამ და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა უნდა მოუწყონოს, რომ ეს დიდი კულტურული საქმე შესაფერის სიმაღლეზე დააყენეს და დღემდე მოიტანეს.

როგორც ვიცით ამ რამდენიმე თვის წინად [illegible] ტრესტმა და პროფკავშირმა [illegible] ყურადღება მიაქციეს ამ თეატრის საქმიანობას, გამოიყენეს ეს იგი, ანგარიშში გაუწიეს მუშათა საზოგადოებრიობის დიდებით აზრს ამ თეატრის მუშაობაზე და მიიღეს სათანადო ზომები მუშაობის გასაფართოებლად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჯერ კიდევ ამ წლის აპრილში პარტიის თბილისის კომიტეტის სამდივნომ სპეციალური დადგენილებაც კი გამოიტანა ამის შესახებ და მისი ცხოვრებაში გატარება დაავალა საქ. ჯანსახკომს. მაგრამ რატომღაც ეს დადგენილება დღემდე განუხორციელებელი დარჩა. დღეს აუცილებელია ამ თეატრის საქმიანობის ფართოდ გაშლა.



სან-აგიტ თეატრის სასცენო მუშაობის სხვადასხვა მომენტები

# საქ. პროფსაბჭოს თვითმოქმედი მუშათა თეატრი

ს.პ.კ.ს. თვითმოქმედი მუშათა თეატრი ჩაისახა 1928 წლის დეკემბერში რეჟ. გ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ასეთი თეატრის მოწყობა ნაკარნახევი იყო შემდეგი გარემოებით: საკლუბო თეატრალური წრეებს, რომელთაც უმეტეს წილად არ ჰყავდათ კვალიფიციური ხელმძღვანელი—რეჟისორი, განიცდიდნენ ისეთი თეატრის არსებობის საჭიროებას, რომელიც მათთვის იქნებოდა მაგალითის მიმცემი მათ პრაქტიკულ მუშაობაში. იყო შემთხვევები, როდესაც წრის რომელიმე წევრი იმდენად წაიწევდა წინ, რომ გაასწრებდა არა მარტო თავის ამხანაგებს, არამედ თვით ხელმძღვანელსაც, წრის მუშაობით აღარ კმაყოფილდებოდა და თავს ანებებდა წრეში მუშაობას, ამით თავდებოდა მისი მუშაობა თეატრალური კულტურის დარგში. ამგვარად, საჭირო შეიქნა ისეთი თვითმოქმედი თეატრი, რომელშიაც ასეთი ხალხი შესძლებდა თავისი თეატრალური განათლების დამთავრებას, რაც შეუძლებელი იყო კლუბებში. გარდა ამისა, ახალი თეატრის წინაშე დაისვა ამოცანა—სამსახური გაეწია მუშა-მაყურებლისათვის ჯანსაღი თემატიური სანახაობით. ამგვარად დაისვა ასეთი ამოცანა—მუშა, რომელიც თვითონ მუშაობს თეატრალური კულტურის ფრონტზე, ამავე დროს ამ კულტურის გამტარებელია მუშათა მასაში. ყოველივე ამის განხორციელება ხდებოდა მეტად არახელსაყრელ პირობებში. მთავარი იყო შენობის უქონლობა და მასწავლებელთა საჭირო კადრის უყოლობა. წლიწად ნახევრის განმავლობაში თეატრს მოუხდა ხუთჯერ გამოეცვალა ბინა მათი უვარგისობის გამო.

მიუხედავად ყოველივე ამისა მუშების ენტუზიაზმმა არა მარტო შეინახა თეატრი, როგორც მტკიცედ შედუღებული ორგანიზმი, არამედ ზოგიერთ წარმატებებსაც მიაღწია.

წელიწადნახევრის მუშაობის შედეგები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მინიმალური დახმარების პირობებში, ეს თეატრი რომელიც მუშებმა შექმნეს, მართლაც გადაიქცევა ნამდვილ მუშურ თეატრად, სადაც პროლეტარული ხელოვნების ყველა სახეები იქნება.

თეატრის მთელი მუშაობა მიმდინარეობს ორი ხაზით — სასწავლო - აღმზრდელობითი და პრაქტიკული მუშაობა. თეატრის მუშაობის განვლილი პერიოდი, უფრო ორგანიზაციული ხასიათისა იყო. ამ მდგომარეობამ და შენობის უქონლობამ გავლენა მოახდინეს დასახული პროგრამის მთლიანად შესრულებაზე. მაინც შესაძლებელი გახდა შემდეგი მუშაობის ჩატარება: დაიდგა 5 პიესა მსხვილ პოლიტიკურ კამპანიების თემებზე. სულ გაიმართა 40 წარმოდგენა, რომლებსაც 25,000 მაყურებელი დაესწრო. მოეწყო სამი საგასტროლო მგზავრობა კახეთში — სადაც დაიდგა ს. შანშიაშვილის „პირველი ნაბიჯი".

სასწავლო - აღმზრდელობითი ნაწილში გაიმართა 80-მდე გაკვეთილი და ლექცია თეატრალური ხელოვნების საკითხებზე. ჩატარდა ათამდე საუბარი სხვადასხვა თემებზე, იმართებოდა ექსკურსიები ქალაქ-გარეთ. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს მუშა-მსახიობების დაკავშირება მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობების ჯგუფთან მათი თბილისში ყოფნის დროს. ასე მაგ. დამს. მსახ. თარხანოვმა რამდენიმე გაკვეთილი მისცა თეატრს სცენიურ თამაშის ტექნიკაში. ამავე ჯგუფთან თეატრმა მოაწყო ექსკურსია არაგვის ნაპირებზე, სადაც ორი დღის დარჩნენ და საუბარი ჰქონდათ რესპ. სახ. მსახ. მოსკვინთან, თარხანოვთან, გრიბუნინთან და სხვ.

7 სექტემბრიდან თეატრი შევიდა თავის მოქმედების ახალ ფაზაში. მუდმივი ბაზა თეატრს აქვს ლენინის რაიონში პლეხანოვის კლუბში, სადაც ხდება ადგილობრივი წრის შეერთება თეატრთან. ამჟამად თეატრს ჰყავს 48 კაცი. აქედან 44 მუშაა და 4 მოსამსახურე. 1930-31 წლის სეზონისათვის მზადება გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. რეპერტუარის კრიზისი, რომელსაც ასე მწვავედ განიცდიან ყველა თეატრები, ამ თეატრის მიერ აღმოფხვრილია ქართველ დრამატურგების მოზიდვით, როგორიც მაგ. შანშიაშვილი, გაბესკირია, რობაქელი, გორდეზიანი, კაჭკაჭიშვილი, კიზირია და სხვ.

რეპერტუარის მზადებასთან ერთად დაიწყო სწავლაც შემდეგ საგნებში: მსახიობის თამაშის ტექნიკა, რიტმიკა, დიქცია, გრიმი, მხატვრული კითხვა, სიმღერა და საზოგადოებათმეცნიერება. მუდმივი შენობა პლეხანოვის კლუბთან შესაძლებლობას იძლევა ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმული იქნან სხვა კლუბების წრეები და მუშა-მაყურებელი. ეს კი საჭიროა, მუშა - მაყურებელი თავის თეატრის აქტიური მშენებელი უნდა იყოს.

თეატრი, თავისი მუშაობის მეთოდებით, გადაიქცა მუშათა ხელოვნების ლაბორატორიად, სადაც მუშას შესაძლებლობა ეძლევა შეითვისოს და შექმნას ეს ხელოვნება.



საქ. პროფსაბჭოს თვითმოქმედ მუშათა თეატრის დასი

# ფიზკულტურა და სპორტი

## ტაშკენტელი ფეხბურთელები თბილისში

თბილისის საპორტო საზოგადოება „დინამო"-ს მოწვევით 28 სექტემბერს, ტაშკენტიდან თბილისში ჩამოვიდა ტაშკენტის დინამოს ნაკრები გუნდი 15 კაცის შემადგენლობით. ტაშკენტელ სპორტსმენებს — ფეხბურთელთა გუნდს, სადგურზე შეხვდნენ თბილისის ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლები და მუშა - ფიზკულტურნიკები.

პირველი შეხვედრა მოხდა „დინამო"-ს სტადიონზე 1 ოქტომბერს. სტუმრებთან თამაშობდა სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის პირველი გუნდი. ტაშკენტელები საუკეთესო შეწყობილ თამაშს აწარმოებენ. თამაში დამთავრდა 1:1-ზე.

მეორე შეჯიბრება, რომელიც გაიმართა ორ ოქტომბერს, უფრო საინტერესო გამოდგა. თუმცა წვიმამ სტადიონი ატალახა, თამაშს მაინც უთვალავი მაყურებელი დაესწრო.

სტუმრებთან თამაშობდა „დინამო"-ს მეორე გუნდი. ტაშკენტელებმა ამ შეჯიბრებაში გამოიყენეს თავისი საუკეთესო ძალები და თამაშის ინიციატივა თავიდანვე ხელთ აიღეს. ტაშკენტელები სასტიკ შეტევებს აწარმოებდნენ მოწინააღმდეგის თამაშის დამთავრებამდე.

შეჯიბრება დამთავრდა 3:1 ტაშკენტელების სასარგებლოდ.

მესამე შეჯიბრება გაიმართა 5 ოქტომბერს. სტუმრებთან თამაშობდა მელითონეების პირველი გუნდი. ამ შეჯიბრებაში მელითონეებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება. ტაშკენტელები თავიდანვე გადავიდნენ შეტევაზე და თამაშის დამთავრებამდე მელითონეების ბადეში გაიტანეს 4 ბურთი.

მეოთხე შეჯიბრება, რომელიც გაიმართა 6 ოქტომბერს, მეტად საინტერესო გამოდგა. სტუმრებთან თამაშობდა „დინამო"-ს პირველი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ დინამომ ამ შეჯიბრებაში გამოიყვანა თავისი საუკეთესო მოთამაშეები, მაინც თავიდანვე აღებული ტემპი თამაშის დასრულებამდე არ შეუნელებიათ. ამ შეჯიბრებაში დინამომ გამოამჟღავნა როგორც თამაშის მაღალი კლასი, ისე ფიზიკური გამძლეობა, რამაც საშუალება მისცა გუნდს ერთნაირი ენერგიით უწარმოებინათ შეტევა მთელი თამაშის განმავლობაში. თამაში დასრულდა 4:0 დინამოს — (თბილისი) გამარჯვებით.

ტაშკენტის ნაკრებმა დინამომ, რომელმაც თბილისში ჩაატარა 4 ამხანაგური შეჯიბრება საერთო ანგარიშით მაინც მოიგო 8:6.

სტუმრების გუნდში თამაშობდნენ: ალ. პაპკოვი, სიზოვი, დახიელოვი, სავიცკი, ჩიჟოვი, ზოლდოვი, ადესმანი, აგაპაბოვი, სტეპინი, ფუთალოვი და დოლგუშკინი.

რკინის გზის გუნდის შორით იყვნენ: დამრავი, აბზიანიძე, მაი, სუმატაშვილი, კვანტალიანი, ზალოტიხი მ. და ზალოტინი.

დინამოს მეორე გუნდის შორის გამოვიდნენ: კასრაძე, შავგულიძე, ხომასურიძე, ლორთქიფანიძე, მინაევი, პაროლოვი, კასტიტუკოვი, რევაზოვი, კეროსელიძე, ბერძენიშვილი, გარაყანიძე.

მელითონეების ჯგუფში შედიოდნენ: დ. ცომაია, ანთიძე, ნიკოლაიშვილი, სუშკოვი, მამაცაშვილი, გოგელი, ბელაგზი, მესხი, იამშაროვი, კლიცკი და შიშაძელი.

დინამოს პირველ გუნდში შედიოდნენ: ბალდოევი, ფარულავა, ფოჩხუა, ნინაევი, ახიქიანი, ფიფიძე, კასტიტუკოვი, ბილამაზოვი, აბაშიძე, თიაკოვი და გარაყანიძე.

სტუმრების შორიდან აღსანიშნავი იყო მეკარე ალ. პაპკოვი და მარცხენა ფრთის მონაწილენი და მეტად ლამაზი თამაში, რომელიც მაყურებლებში დიდ ინტერესს იწვევდა.

ი. ბე—ი.



ღარიბი გურული გლეხების ბავშები, რომლ ებიც მოჰყავთ საბავშო ბაღში



ფლევის საბჭოთა მეურნეობის ჯიშიანი ძროხები



ათომი.—კრეკინგ ქარხნის ახალი მშენე-
ბლობა



ძველი მუშა ვასაკაშვილი
რომელმაც თავი
დამკვრელად გამოაცხადა



მოლეთის თემის შარაგზას აკეთებენ

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



ნავთის გამწმენდ ქარხნის აშენებლობა ბათომის ახლოს.



საექსპორტო ნავთის გადამქაჩავი ქარხანა აჭარაში.



აბასთუმანის სააბაზანო სანატორიუმის ახალი შენობა.



ნავთის გამწმენდ ქარხნის საერთო სანახაობა ბათომში.



ნავთის გადამქაჩავი ქარხნის მექანიკური მოწყობილობა ბათომში.



კასპის ცემენტის ქარხანა, რომელიც წლიურად ამზადებს 720.000 კასრს ცემენტს

E-44

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 2100. ტირაჟი 6500. შეკვ. № 3062